

ლევლის ქართულ-ფრანგული მემორიალური მუზეუმი

აბსტრაქტი

საქართველოს თავისი კულტურის კერები ისტორიულად უცხოეთის არაერთ ქვეყანაში ჰქონია (ჯვრის, ათონის, პეტრიწონის მონასტრები და სხვ.), მაგრამ ისინი უმთავრესად სასულიერო და სამწიგნობრო ცენტრებს წარმოადგენდნენ. მათგან განსხვავებით, საფრანგეთის ილ-დე-ფრანსის რეგიონში არსებული ლევლის მამული ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი იყო XX საუკუნის 20-50-იან წლებში.

ლევლი ქართული პოლიტიკური და კულტურული ემიგრაციის სიმბოლოა. პარიზთან ახლომდებარე ამ მომცრო სოფლის სახელი ქართულ ცნობიერებაში საუკუნეზე ოდნავ მეტი ხნის წინ დამკვიდრდა. საბჭოთა რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დამხობილმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებულმა მთავრობამ, 1922 წელს, სახელმწიფო სახსრებით, ამ დასახლებაში ორსართულიანი შატო და 5 ჰექტრამდე მამული შეიძინა. შატოში ბინა მთავრობისა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრებმა დაიდეს. მამული ლტოლვილი ქართველების თავშესაფრად იყო გათვალისწინებული. ქართველი ემიგრანტებისათვის ლევლი „მცირე საქართველოდ“ იქცა, სადაც დამოუკიდებლობის სულისკვეთება ღვიოდა და შინ დაბრუნების იმედი ცოცხლობდა.

ეს პატარა ქართული კერა, მის მფლობელთა ანდერძის თანახმად, უნდა გადასცემოდა საქართველოს, როდესაც ის დამოუკიდებელი გახდებოდა. ასეც მოხდა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლებსა და ქართველ ემიგრანტთა იმ ოჯახებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელნი იყ-

* ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

ვნენ ლევილის მამულზე, 2016 წელს ლევილის ქართული კერა საქართველოს საკუთრება გახდა. ლევილის მამულს ამ დროიდან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხოლო 2021 წლიდან კი საქართველოს კულტურის სამინისტროს განაგებს.

ლევილის მამულის ბაზაზე დაარსდა ქართულ-ფრანგული მემორიალური მუზეუმი, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის დაქვემდებარებაში შევიდა. მემორიალური მუზეუმი ლევილში შექმნილი ქართული კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იქნება. მუზეუმში მუდმივი ექსპოზიციის გარდა იარსებებს ერთი დამატებითი დარბაზიც დროებითი გამოფენებისათვის. მამულში მოეწყობა ასევე, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, მედიათეკა და ქართული კუთხე – ქართული ოდა. ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის დაირგვება ვენახი და აშენდება მარანიც.

მემორიალური მუზეუმის კონცეფციის შესამუშავებლად, კულტურის სამინისტრომ ქართველი სპეციალისტებისა და ემიგრაციის წარმომადგენლების შემადგენლობით სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბა. ჯგუფის წევრები არიან: ქრისტინე ფალავა-ბულე – ნოე ჟორდანias სახელობის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი, ნოე ჟორდანias შვილიშვილი; ტიერი ბერიშვილი – ქართველ ხალხთან მეგობრობის ასოციაციის „გაუმარჯოს საქართველოს“ (საფრანგეთი) პრეზიდენტი; სტივენ ჯონსი – ისტორიკოსი, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის მკვლევარი (აშშ); შორენა ციცაგი – საქართველოს კულტურის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი; ნინო კალანდაძე – საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრაცია-კონსერვაციის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი; ლევან თაქთაქიშვილი – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე; ირაკლი იაკობაშვილი – საქართველოს პარლამენტის არქივის ხელმძღვანელი; ოთარ ჯანელიძე – საქართველოს ეროვნული მუზეუმის

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; ზურაბ გაიპარაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი; დიმიტრი სილაქაძე – საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების სპეციალისტი.

ჯგუფმა უკვე მოამზადა კონცეფციის სამუშაო ვერსია და შეკრიბა გამოფენისათვის საჭირო მემორიალური ნივთები, არტეფაქტები, საარქივო დოკუმენტები, პერიოდული პრესის მონაცემები, ფოტო, ფონო და აუდიო ვიზუალური მასალები.

კონცეფციის თანახმად, მუზეუმის მუდმივმოქმედი საექსპოზიციო სივრცე სამ ნაწილად გაიყოფა და გააცოცხლებს ქართული ემიგრაციის საქმიანობას პოლიტიკურ თუ კულტურულ ასპარეზზე: პირველი ნაწილი მოკლედ და კომპაქტურად მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე, წარმოაჩენს ქართველი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიას 1801 წლიდან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე და შემდგომ პერიოდში; მეორე (ძირითადი) ნაწილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისა და მისი არსებობის სამწლიან მონაკვეთში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებას დაეთმობა; ხოლო მესამე ნაწილში აისახება ქართული ემიგრაციის თავგადასავალი, მის ძალისხმევა საქართველოს თავისუფლებისათვის და ემიგრაციის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დინამიკა 1921 წლიდან 50-იანი წლების შუა ხანებამდე.

მუზეუმისათვის განკუთვნილი შატოს პირველ და მეორე სართულზე შერჩეულია 10 პირობითი დარბაზი (სინამდვილეში, – ოთახები და დერეფანი), ხოლო ექსპოზიციის ასეთი ქრონოლოგიური და თემატური პრინციპითაა დაყოფილი:

პირველი დარბაზი: საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე; საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა რუსულ ოკუპაციამდე და ოკუპაციის პირობებში;

მეორე დარბაზი: 1917 წლის რევოლუციიდან 1918 წლის 26 მაისამდე;

მესამე დარბაზი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება;

მეოთხე დარბაზი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა და სახემწიფოებრივი აღმშენებლობა;

მეხუთე დარბაზი: საბჭოთა რუსეთის შემოჭრა საქართველოში და საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია რუსეთის მიერ;

მეექვსე დარბაზი: ანტისაოკუპაციო, ანტისაბჭოთა განმანთავისუფლებელი, წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზება საქართველოსა და საზღვრაგარეთ;

მეშვიდე დარბაზი: საფრანგეთში ქართული სათვისტომოს ისტორია;

მერვე დარბაზი: ნოე ჟორდანიას კაბინეტი;

მეცხრე დარბაზი: ლევილის შატო;

მეათე დარბაზი: ლევილის წარსული და დღევანდელი.

უკვე დასრულდა ლევილის მამულის გალავნის ისტორიული ნაწილის რესტავრაცია-კონსერვაცია და „გუმბაგის სახლის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები, ექსპოზიციის მოსაწყობად მომზადებულია შატოს საგამოფენო სივრცე, გრძელდება პარკის აღდგენა. ლევილის მუზეუმი 2026 წლის სექტემბრისათვის უნდა გაიხსნას.

Otar Janelidze

Georgian-French Memorial Museum of Leuville

Abstract

Historically, Georgia had cultural centers in a number of foreign countries (Jvari, Mount Athos, the Petritsoni monasteries, etc.), but these were primarily religious and literary centers. In contrast, the Leuville estate in the Ile-de-France region of northern France was the center of political life for Georgian emigration in the 1920s–1950s.

Leuville is a symbol of Georgian political and cultural emigration. The name of this small village near Paris has been ingrained in Georgian consciousness for just over a century. The government of the Democratic Republic of Georgia in exile, overthrown as a result of Soviet Russian military aggression, purchased a two-story castle and a 5-hectare estate in this settlement with state funds in 1922. Members of the government and the Presidium of the Constituent Assembly resided in the château. The estate was also intended for Georgian refugees.

For Georgian emigrants, Levili became "Little Georgia," where the spirit of independence flourished and the hope of returning home was alive.

According to the owners' will, this small Georgian homestead was to be transferred to Georgia after its independence. And so it was. After lengthy negotiations between representatives of the Georgian government and the families of Georgian emigrants responsible for the Levili estate, in 2016 the Levili Georgian homestead became the property of Georgia. Since then, the Levili estate has been under the jurisdiction of the Ministry of Foreign Affairs of Georgia, and since 2021, the Ministry of Culture of Georgia.

The Georgian-French Memorial Museum was established on the premises of the Levili estate, which was transferred to the National Museum of Georgia. The memorial museum will become an important part of the Georgian cultural and educational center established in Levili. In addition to the permanent exhibition, the museum will have an additional hall for temporary exhibitions. The estate will also house a library, a conference room, a media library, and a Georgian corner – "Georgian Ode." A vineyard will be planted and a cellar will be built to popularize Georgian wine.

To develop the concept for the memorial museum, the Ministry of Culture formed a working group consisting of specialists and representatives of the Georgian diaspora. The group included: Christine Pagava-Boulet – Vice President of the Noe Jordania Institute, grandson of

Noe Jordania; Thierry Berishvili – President of the Association of Friendship with the Georgian People "Long Live Georgia" (France); Stephen Jones – historian, researcher of modern and contemporary history of Georgia (USA); Shorena Tsitsagi – Head of the International Relations Department of the Ministry of Culture of Georgia; Nino Kalandadze – Head of Restoration - Conservation Scientific Institute of the Georgian National Museum; Levan Taktakishvili – Deputy Director of the National Library of the Parliament of Georgia; Irakli Yakobashvili – Head of the Archives of the Parliament of Georgia; Otari Janelidze – Senior Researcher at the National Museum of Georgia; Zurab Gaiparashvili, Head of the TSU Library; Dmitry Silakadze, Specialist in the Scientific Department of the National Archives of Georgia.

The group has already prepared a working draft of the concept and collected the necessary memorial items, artifacts, archival documents, periodicals, photographs, audio, and audiovisual materials for the exhibition.

According to the concept, the museum's permanent exhibition space will be divided into three parts and will highlight the political and cultural activities of the Georgian émigré community. The first part will briefly and concisely tell the history of Georgia from ancient times to the present day, presenting the story of the Georgian people's struggle for freedom from 1801 to the restoration of state independence and beyond. The second (main) part will be dedicated to the political, social, and cultural life of the Democratic Republic of Georgia and the three-year period of its existence. The third part will reflect the adventures of the Georgian émigré community, its struggle for Georgia's liberation, and the dynamics of its political and cultural life from 1921 to the mid-1950s.

The museum's first and second floors comprise 10 halls (essentially rooms and a corridor), and the exhibition is divided according to the following chronological and thematic principles:

Hall One: The History of Georgia from Ancient Times to the Present Day; A Brief Overview of Georgia's History Before and During the Russian Occupation;

Hall Two: From the February Revolution of 1917 to May 26, 1918;

Hall Three: The Government of the Democratic Republic of Georgia;

Hall Four: The Creation of the Democratic Republic of Georgia and State Building;

Hall Five: The Soviet Russian Invasion of Georgia and the Occupation of Georgia, as well as its De facto Annexation by Russia;

Sixth Hall: Organization of anti-occupation, anti-Soviet liberation, resistance movements in Georgia and abroad;

Seventh Hall: History of the Georgian Community in France;

Eighth Hall: Noe Zhordania's Office;

Ninth Hall: Chateau de Léville;

Tenth Hall: The Past and Present of Léville.

The restoration-conservation of the historical part of the Leville Manor fence and the rehabilitation works of the "Watchman's House" have already been completed, the exhibition space of the chateau has been prepared for the exposition, and the restoration of the park continues. The Leville Museum is scheduled to open in September 2026.